

**ფსიქოლოგიური კონტროლის, ქცევის კონტროლის, ავტონომიის
მხარდაჭერისა და მხარდაჭერის კავშირი მოზარდების ქცევითი რეაგირების
ფორმებთან, თვითდეტერმინაციის თეორიის ჭრილში**

ნათია კუხალეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მონიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია)

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ნათია კუხალეიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.06.2018

აბსტრაქტი

თეორია და კვლევა ადასტურებს, რომ მოზარდები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მშობლის რეგულაციის საპასუხოდ გამოხატული ქცევითი რეაქციების მიხედვით. ქართულ კონტექსტში ამ თემას პირველად ვიკვლევთ. მოცემულ ნაშრომში გამოვიკვლიეთ ფსიქოლოგიური კონტროლის, ქცევის კონტროლის, მხარდაჭერისა და ავტონომიის მხარდაჭერი აღზრდის განზომილებების კავშირი მოზარდთა ქცევითი რეაგირების ფორმებთან, როგორცაა მოლაპარაკება, მორჩილება და ოპოზიციური დაუმორჩილებლობა. გარდა ამისა, ქცევით რეაქციებს დაუკავშირეთ მოზარდების მხრიდან სარისკო ქცევების განხორციელების ინციდენტები.

მაკონტროლებელი აღზრდის სტილი, ისევე როგორც ფსიქოლოგიური კონტროლის განზომილება, პოზიტიურად დაუკავშირდა ოპოზიციურ დაუმორჩილებლობას და ნეგატიურად მოლაპარაკების ქცევით რეაქციას, ხოლო ავტონომიის მხარდამჭერი და მხარდამჭერი სტილები კი კონსტრუქციულ გამკლავების სტრატეგიას, როგორცაა მოლაპარაკება. დამატებით, აღმოჩნდა რომ მოზარდები, რომლებიც ავლენდნენ მოლაპარაკების ქცევით რეაქციას, არ იყვნენ ჩართული სარისკო ქცევების განხორციელებაში, განსხვავებით იმ მოზარდებისგან, რომლებიც ავლენდნენ ოპოზიციურ დაუმორჩილებლობას ან მორჩილებას.

რამდენადაც მოზარდობა ხასიათდება მზარდი ავტონომიურობით და ოჯახის გარეთ ურთიერთობებსა და აქტივობებში ჩართულობით, განვითარების ამ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშობლის მხრიდან ავტონომიის მხარდამჭერი კომუნიკაცია შვილთან, რათა მოხდეს ქცევის უმტკივნეულოდ რეგულირება და თავიდან იქნას არიდებული სარისკო ქცევების განხორციელება

ძირითადი საძიებო სიტყვები: აღზრდის განზომილებები, ქცევითი რეაქციები, სარისკო ქცევები, მოზარდები.

Abstract

Theory and research suggest that adolescents differ in their coping reactions in response to parental regulation. This is the first time the topic is studied in Georgia. In this study, we examined parenting dimensions of psychological control, behavioral control, autonomy support and support in connection with adolescents coping reactions - submission, negotiation and oppositional defiance. Besides this we correlated coping reactions with risky behaviour incidents in adolescents.

Controlling communication style, as well as dimension of psychological control, were positively correlated to oppositional defiance and negatively associated with negotiation, unlike this autonomy supportive and supportive styles were positively correlated to constructive coping style – negotiation. In addition, research findings suggest that adolescents who exhibit coping reaction of negotiation, are not involved in risky behaviours, as opposed to adolescents who exhibit oppositional defiance or submission.

Whereas adolescence is characterized by increasing autonomy and involvement in relationships and activities outside of family, in this developmental period it is extremely important to have autonomy-supportive communication with adolescents, in order to regulate their behaviour painlessly and avoid risky behaviour incidents.

Keywords: Adolescence. Parenting dimensions. Behavioral reactions. Risky behaviours.